

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5/12

2023 წლის 29 მარტი

ქ. ფოთი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის №6/10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის №6/10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.111.016417) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51³, 53³, 55-ე, 55³, 77¹, 77² მუხლებით, 82⁵ მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 119¹ მუხლით, 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150¹ მუხლებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 151², 156¹ მუხლებით, გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, აღრიცხვის ჟურნალის წარმოება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება უზრუნველყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა „ქალაქ ფოთის მუნიციპალურმა ინსპექციამ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 415112149).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ტყეშუაშვილი

